№ 207
სეკდემბრის 29, კვირა 1902 წ.
1877

ივერია

№ 207
სეკდემბრის 29, კვირა 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

სამშაბათს, 1 ოკდომბერს, გარდაცვალებიდან ორი წლის თავზე, გარდახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი

ავეტიქ სულხანის ძის სულხანოვისა

მეუღლე განსვენებულისა **ელისაბედ გრიგოლის ასული** სულხანოვისა სთხოვს ნათესავთ და ნაცნობთ მობრძანდნენ ავლაბარში კარმირ ავეტარანის ეკკლესიაში. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. პანაშვიდი 12 საათზე. (1—429—1)

პირველ ოკდომბრიდან წლის დამლევამდე გაზეთი
„ი ვ ე რ ი ა“

ღირს **სამ მანეთად** და **ათ შაურად** (3 მ. 50 კ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—,,ივერიის'' რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117და 118)და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
ბათუმში: მ. ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში.
ბაქოში:--ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ.,ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ბალახანაში:—ალექსანდრე ალხაზიშვილთან.
ხონში:— ნესტორ წერეთლისა და ს. ბახტაძის წიგნის მაღაზიაში.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.
გორში: ანტონ კასრაძესთან.
განჯაში: ა. ი. ალხაზიშვილთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში და **ბათუმში** ს. ქელიძის წიგნის მაღაზიაში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

საწყობი ქაღალდის

დიტიატკოვსკის ამხანაგობის

მოსკოვი. 1882 წ
ნოვგოროდი 1896წ.

საწერ-ქაღალდის ქარხნებისა ტფილისში

ქაღალდი საფოსტო, საწერი, წიგნის საბეჭდი, გაზეთის საბეჭდი და საზოგადოდ ყოველგვარი საბეჭდი ქაღალდი ყველა ნომრისა, აგრეთვე ალბომის ქაღალდი ყველა ფერისა, თუთუნის სახვევი, ჩაის სახვევი, მუნდშტუკისა, საზოგადოდ საქონლის სახვევი და სამანუფაქტურო, შაქრის სახვევი და კარდონისა.

მაღაზია საკანცელარიო, სამწერლობო, სახაზავ და სამოწაფეო იარაღ-კუთვნილებათა. საქონელი **ფაბრიკის ფასად.**

ადრესი წერილებისა: ერევნის მოედანი, სახლი ტფილისის საკომერციო ბანკისა.

ტელეგრამებისათვის: Тифлисъ. Дитятковское Товарищество.

ტელეფონი № 66. (30—6.—15)

საბუხგალტერო კლასები

ტფილისის საკომერციო სასწავლებელთან

(წელიწადი მესამე).

სწავლა დაიწყება 2 ოქტომბერს. კურსი განგრძობილ იქმნება არა ნაკლებ 6 თვისა. **მეცადინეობა საღამოობით, კვირაში სამჯერ.** მსმენლებად შეუძლიანთ იყვნენ **წერა-კითხვის მცოდნენი ორივე სქესისა.**

ფასი 40 მანეთი მთელის კურსისათვის.

თხოვნები ტფილისის საკომერციო სასწავლებლის დირექტორის სახელზედ მიიღება ყოველ-დღე, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე, საკომერციო სასწავლებლის შენობაში (ჩუღურეთი, რიყის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 11). (8—6.—6)

მოსკოვი 1893
ს.-პეტერბურგი 1870
ნ.-ნოვგოროდი 1897

სავაჭრო სახლი

დონნერისა და ლეიტცისა

ტფილისი, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა, ტელეფონი № 145.

ჟირარდის მანუფაქტურების სააქციონერო საზოგადოებისა.

საწყობში მუდამ ბლომად არის ამოსარჩევად

ტილოსი, ბამბისა და ფინდა-ჩულქის საქონელი.

ავეჯის გადასაკვრელი მაჟერიები, პორტიერები, ფარდები, ხალიჩები და იატაკის საფენები

საბნები მატყლისა და აბრეშუმისა.

საცვლები ქალისა და კაცისა

მ ზ ი თ ე ვ ი.

მზადდება შეკვეთით საქონელი სახაზინო და კერძო დაწესებულებათათვის. დაწვრილებით პრეის-კურანტი მსურველს უფასოდ გაეგზავნება. ჟირარდის მანუფაქტურის საქონელი პარიჟის 1990 წ. მსოფლიო გამოფენაზედ ღირს იქმნა უმაღლესი ჯილდოსი Grand Prix-ისა.

გულითადს მადლობას ვუძღვნი ყველა იმათ, ვინც გამომიცხადეს თვისი მწუხარება და მანუგეშეს პირადად ან დეპეშით ჩემს უბედურებაში და პატივი სცეს განსვენებულ ჩემს ძვირფასს მეუღლეს—ფოთის საკათედრო ტაძრის დეკანოზს **გრიგოლ მაჭარაშვილს.**

ნატალია ივანეს ასული მაჭარაშვილისა.

(1—430—1)

№ 1. ტელეფონი 617.

ქართული თეატრი

კვირას, 29 სეკდემბერს 1902 წ.

სეზონის დასაწყებად

ქართულის დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

ავქს. ცაგარლის ხსოვნის პატივსაცემად

პირველად ახალი პიესა

I

ცისარტყელა

თანამედ. კომ. 4 მოქმ. თხზულ. ა. ცაგარლისა.

II

აპოთეოზი

ვ. აბაშიძე და კ. მესხი წაიკითხავენ შესაფერ სიტყვას და ლექსს.

წარმოდგენის რიგი: 1) აპოთეოზი, 2) ცისარტყელა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, რონელი, ე. ჩერქეზიშვილი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, ი. ივანიძე, კ. მესხი, ივ. ლანდი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი და სხვანი.

ადგილების ფასი: ლოჟები 6 მანეთიდან 10 მან.-დე, პარტერი 70 კ.-დგან 3 მ.-მდე, ამფითეატრი 80 კ.-დგან 1 მ. 50 კ.-მდე, გალერეია 25 კ.-გან 45 კ.-მდე, შეგირდებისათვის ადგილები პარტერში 60 კაპ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად: „მუშაკი და ნებიერი“, „ფიგაროს ქორწინება“, „უნდა გავიყარნეთ“. რეჟისორი **ვალ. გუნია.**

ტფილისის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელი ამით აცხადებს ბ-ნთ ამომრჩეველთა საყურადღებოდ, რომ არჩევა ტფილისის ქალაქის საბჭოში ხმოსნებისა მესამე საარჩევნო განყოფილებაში დანიშნულია 29 ენკენისთვეს 1902 წ. ტფილისის სობრანიის საზაფხულო სადგომში მიხეილის ქუჩაზედ.

საარჩევნო კრებაში შესასვლელი ბილეთები დაურიგდებათ ქალაქის გამგეობის კანცელარიაში 28 ენკენისთვემდის და არჩევნების დღეს-კი თვით „ტფილისის სობრანიის“ სადგომში დილის 10 საათიდგან კენჭების დათვლის დაწყებამდის. (3—6.—3)

---

5 ოკდომბერს, 1902 წ., საღამოს 8 საათზე დანიშნულია

საზოგადო კრება
წიგნების გამომცემელ
ქართველთა ამხანაგობისა.

განსახილველად დანიშნულია:

1. წარსული წლების ანგარიშები;
2. ამხანაგობის პირობის ზოგიერთ მუხლების გადასინჯვა.

კრება იქმნება ამხანაგობის სადგომში, ვანქის დიდ ქუჩაზედ. (3—1)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე.

კვირა-უქმე დღეებში 10—1-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38.

(წლ.)

ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, 30. ტელეფონი № 450

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 10—1-დე და საღამოთი 6—8-დე. წლ.

კბილის სამკურნალო კაბინეთი

ი. ზ. კანდელაკისა

იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—2 საათ. საღამოთი 4—7. ავჭალის ქუჩის დასაწყისში სახლი ჯალალოვისა, № 11 გედევანიშვილის სამკურნალოს ახლო. (4—6.—3)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. გ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

ქამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 9—10 ს.

გრ. ვ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კრაოტებიმ მან. 5 მანეთამდე. (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, ნერვებისა და შინაგანის ავადმყოფისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტეპარია) შინაგანისა, ვენერიულ და კანის ავადმყოფობისა.

ზ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ზ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ ,,მასსაჟს'', აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.

ტფილისი, 29 **სეკდემბერს.**

მეორე უბნის არჩევნებშიაც სომხობამ გაიმარჯვა და ამითი აღსრულდა გულ-შემატკივარი წინასწარმეტყველება გაზ. „ცნობის ფურცლისა“, და „Новое Обозр.-სა რუს-ქართველობის დამარცხების შესახებ მეორე უბნის არჩევნებზე.

დიაღ, ძალა-მოსილმა სომხობამ 26-ს უფრო გაიმარჯვა, ვიდრე 22-ს სეკდემბერს.

ასეც უნდა მომხდარიყო, რადგანაც მეორე უბნის ამომრჩევლების რიცხვი 950 იყო; ამ რიცხვიდგან 830 სომეხი იყო, 60 ქართველი, 30 რუსი და 30—თათარი. არჩევნებს დაესწრო 187 კაცი, რომელთაც ჰქონდათ—195 ხმა. ამ რიცხვიდგან სომხობას ჰქონდა 173 ხმა, ქართველებს—12, თათრებს—7 და რუსებს—3.

რაღა თქმა უნდა, რომ ამისთანა გარემოებაში აღარ დასჭირდათ ჩიმიშკიანების მიწვევა და თვით კომიტეტისაგან დასახელებული ერთი ქართველი და ერთი რუსი ადვილად გააშავეს.

„ივერიის“ რედაქციას რომ გამოეჩინა ამგვარი წინასწარმეტყველება, ეს არავის გაუკვირდებოდა, რადგანაც „ივერია“ არჩევნებში მონაწილე სომხობის გულ-კეთილობას არც ენდობოდა და არც ენდობა.

მხოლოდ, ჩვენ გვაკვირვებს „ცნობ. ფურცელი“ და „Новое Обозрѣніе“, რომელნიც ქადაგებდნენ, რომ სომხები ჩვენი მეზობლები და ძმები არიანო და ამისათვის მათთან ერთად უნდა ვიღვაწოთ არჩევნებშიო. თუ სომხობის ძმობა სწამდათ, რაღად დაკარგეს ამ ძმობის იმედი პირველ უბნის არჩევნების შემდეგ? პირ-იქით, როგორც სომეხთა და ქართველთა შორის ძმობის მორწმუნეთ, უნდა ეთქვათ, რომ, თუმცა მეორე უბანში, უმეტესი რიცხვი ამომრჩევლებისა სომხობაა, მაგრამ მაინც, იმედია, სომხები ისე დაუნდობლად არ მოიქცევიან, როგორც 22 სეკდემბერს და ის, რაც რუს-ქართველობამ დაჰკარგა პირველს არჩევნებში, სომხები დაუბრუნებენ მეორე უბნის არჩევნებშიო.

მაგრამ, აბა, ამას რათ იტყოდნენ, როდესაც მათი ძმობის ქადაგება მხოლოდ თვალთმაქცობა და გაბრიყვებაა იმ ზოგიერთა ქართველისა, რომელთაც ჯერ ვერ გაუგიათ ჩვენის ცხოვრების სიმწარე.

რა იქნა ის სულგრძელობა, რომელსაც მოითხოვდნენ ზემოხსენებული გაზეთები ჩვენგანა და რუსებისაგან სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების კომიტეტის არჩევნების დროს? სჩანს, ძმობასა და სულ-გრძელობაზედ მხოლოდ მაშინ ლაპარაკობენ ეს გაზეთები, როდესაც გულში უძევთ მხოლოდ თავიანთი პირადი სარგებლობა. დღეს-კი, როდესაც ამ გაზეთების რედაქტორები ამორჩეულ იქმნენ, რასაკვირველია, ძმობის ქადაგება საჭირო აღარ არის და, ვითომ-და დიდად გულნატკენნი, აცხადებენ, სამწუხაროდ, ქალაქის არჩევნებს ეროვნულის ბრძოლის ელფერი მიეცაო.

ძლივს არ გვეღირსა, გამოეთქვა „ Новое Обозр.“-ის,; რასაც დიდს ხანს ჰმალავდა; მაგრამ ამ დამალულმა ჭირმა მაინც თავი არ დამალა და აშკარად ყველას დაანახვა, რომ მიზეზი ეროვ-

ნულის ბრძოლისა ჩვენს დედა-ქალაქში მარტო სომხობის ერთი ნაწილია და სხვა არავინ. აი, თითქმის თორმეტი წელიწადია, რაც ეს უსამართლობატონობა ჰსუფევს ჩვენს დედა-ქალაქში; განა, მართლა შესაწყნარებელია, რომ ქალაქი ჩაუვარდეთ ხელში იმავე ვაჭარჩარჩებს... არასოდეს, რადგანაც თუ საბჭო მარტო ვაჭრებისაგან და მათის ძმებისა და შვილებისაგან იქნება შემდგარი, ქალაქის თვით-მმართველობა ტფილისის მცხოვრებლებისათვის ნამდვილ სულთამხუთავად გადაიქცევა.

ვისაც ეს კარგად ესმის, იმდენად გულ-ამღვრეულია, რომ დამატებითს არჩევნებზე აღარ მიდის, რადგანაც დარწმუნდნენ, საცა სომეხთა ხმოსნების უმრავლესობა იქნება, იქ ერთი-ორი ქართველი ვერას გახდებაო.

გაზ. „ცნობის-ფურცელი“ მაინც ურჩევს ქართველებს, არამცა და არამც ჩვენის დამარცხების გამო არჩეულმა ქართველებმა უარი არ უნდა სთქვან ხმოსნობაზეო.

რამდენისამე თვის წინად ჩვენც ამგვარი აზრი გამოვსთქვით და დღესაც ამ აზრისა ვართ, რომ საბჭოში გამარჯვება მარტო ხმოსნების უმრავლესობაზედ-კი არ არის დამყარებული, არამედ იმაზედაც, რა ჭკუის, ხასიათის და განათლების პატრონია ის უმცირესობა, რომელსაც ჩვენი ქართველობა შეადგენს ტფილისის საბჭოში.

დღეს ჩვენ არ შევეხებით ორს უბანში ამორჩეულ ქართველობის ჭკუასა და ხასიათს, რადგანაც ყოველს თავისს ავსა და კარგს ზნეს თვითონვე გაგვაცნობენ, როდესაც ახალი საბჭო შესდგება და გაუთავებელი ბაასი დაიწყება.

ჩვენის აზრით, ვისაც სურვილი და ძალა აქვს სომხობის საბჭოში ბატონობას თვით საბჭოშივე ავნოს და მისი შინაგანი უძლურება, მისი მავნებელი მოქმედება გამოაშკარავოს, ის უეჭველად უნდა დარჩეს ხმოსნად, ჩვენის სახელის სადიდებლად...

ნეტავი აღმოჩნდეს ვინმე ასეთი ძლიერი კაცი მათ შორის, ვინც ახალ საბჭოში ამოირჩიეს!

ამისთანა სანატრელი ხმოსანი დიდათ ძვირფასი იქნება ჩვენთვისაც და თვით სომხობის იმ ნაწილისათვისაც, რომელსაც უგუნურ აზგასერობის ცხვენიან.

ტფილისი

◆ დღეს დაიწყება სეზონი ქართულ დრამატიულ დასის წარმოდგენებისა. ეჭვი არ არის, რომ ყოველი ჭეშმარიტი ქართველი სიხარულით მიეგებება ამ დღეს. დაე, ამ დასის მიერ გამართულ წარმოდგენებს ზევრმა უხეირო „ვარჯიშობა“ უწოდოს, ჩვენ-კი იმედი გვიღვივოდეს გულში მომავლისა და დარწმუნებული ვიყვნეთ, რომ ეს ბავშვური „ვარჯიში“, სხვას თუ აწყენს, ჩვენ გვახარებს. გული არ უნდა გაიტეხონ ჩვენმა თეატრის მოღვაწეებმა და კვლავ მედგრად და პატიოსნად ემსახურონ სათეატრო ხელოვნებას. ამაოდ არ ჩაივლის ეს სამსახური. იმედია, დადგება ისეთი დრო, როცა დღევანდელის უგულებელ-ყოფით აღარავინ მოექცევა მათს დღეს უმადურს და თითქო პატივ-აყრილს მუშაკობას.

პირველი წარმოდგენა დანიშნულია ჩვენის უდროვოდ გარდაცვლილის დრამატურგის ასიკო ცაგარლის ხსოვნის პატივ-საცემად. წარმოდგენილი იქნება ცაგარლისავე ახალი პიესა „ცისარტყელა“, რომელიც შარშანწინ იყო დაბეჭდილი ჟურნალ „მოამბეში“. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებს მთელი დასი. წარმოდგენის დაწყებამდე გაიმართება აპოთეოზი. აპოთეოზის დროს ბ-ნნი ვ. აბაშიძე, ვ. გუნია და კ. მესხი წარმოსთქმენ შესაფერ სიტყვებს და წაიკითხავენ ლექსებს. უნდა ვიფიქროთ, რომ ქართული საზოგადოება ბლომად დაესწრება ამ საინტერესო წარმოდგენას.

◆ ტფილისის საეპარქიო დედათა სასწავლებლის ინსპექტორად მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესის ალექსის მიერ დანიშნულ იქმნა ტფილისის მეორე სამისიონერო ეკკლესიის მღვდელი ღვთის-მეტყველების კანდიდატი მამა სერგი გოროდცევი.

◆ დღეს, ტფილისის საზაფხულო საკრებულო სადგომში დანიშნულია მესამე რაიონის ხმოსანთა არჩევანი.

◆ ამ თვის 26 კავკასიის ოლქის მზრუნველი გაემგზავრა ბაქოსა და ჩრდილო კავკასიის მხარეს სასწავლებლების დასათვალიერებლად ოლქის მზრუნველი შემდეგ გაემგზავრება პეტერბურგს.

◆ მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი ტფილისში ჩამობრძანდება 4 ოკდომბერს. ბათუმში მინისტრს დაუხვდება კავკასიაში მისი რწმუნებული, ბ-ნი მედვედკი; ტფილისში მინისტრი დაჰყოფს სამს დღეს და არ იციან აქ მოისურვებს სხვა-დასხვა თხოვნის მოსმენას, თუ სხვაგან სადმე.

◆ გუშინდლამდე ხმოსნად ამორჩევის სურვილი განაცხადა 43 კაცმა; მათ შორის ათი ქართველია. აი მათი გვარებიც: ა. ესაძე, ი. ზ. ტატიშვილი, ა. ი. ნატროშვილი, ა. ი. მირიანაშვილი, ს. ს. მესტიაშვილი, მ. ქ. ყიფიანი, ი. გულისაშვილი, ა. ს. ღულაძე, ს. ი. ვაწაძე და ს. თ. ქრელაშვილი.

◆ სამთო ინჟენერებმა ხატისოვმა და ბრაილოვსკიმ ითხოვეს ქალაქისგან, ორმოცის წლის ვადით მოგვეცით იჯარით სოლოლაკის მთაში ჩვენის ხარჯით გვირაბის გაყვანის საქმე იმ პირობით, რომ ამ ხანში შემოსავალი ჩვენს სასარგებლოდ მოვიხმაროთო. 25 ამ თვეს ქალაქის საბჭოს საგანგებო კომისიას ჰქონდა ამ საგანზედ მსჯელობა და შესაძლებლად სცნო მიეცეს გვირაბის გათხრის იჯარა ხატისოვსა და ბრაილოვსკის, ხოლო იმ პირობით-კი, რომ ქალაქს ნება ჰქონდეს როცა მოინდომებს გამოისყიდოს ეს იჯარა მათგან ქალაქის სასარგებლოდ; კომისსიამ დაადგინა შეიმუშაოს ამ იჯარის პროექტის გეგმა და მოაწერონ ორთავე მხარემ ამ გეგმას ხელი, შემდეგ დაევალოთ ბ.ბ. ბრაილოვსკის და ხატისოვს, რომ მათ ოთხის თვის განმავლობაში წარადგინონ დაწერილებით შემუშავებული პროექტი ამ გვირაბისა.

◆ ტფილისის ყველა საშუალო სასწავლებელში, როგორც ოფიციალურ ცნობებიდანა სჩანს, წელს უადგილობისა გამო 400 მთხოვნელს ეთქვა უარი. აშკარაა ამის შემდეგ, რომ ახალის სასწავლებლის დაარსება ტფილისში დიდად საჭიროა.

◆ 29 სეკდემბერს გორში უნდა მოხდეს ქალაქის მოურავის არჩევანი.

◆ საგუბერნიო მკურნალს ბ-ნ ქიქოძეს ექიმ ინაშვილისათვის, რომელიც აცხადებდა ჰლექის წამალი მოვიგონეო, მოუთხოვნია ცნობები ამ წამლის შესახებ. ბ-ნი ქიქოძე სთხოვს შეატყობინოს, რა საშუალება გამოიგონა ჰლექის მოსარჩენად, ახალია იგი, თუ ძველი, რისგან შესდგება და სხვა.

◆ ამაღლების ქუჩის მცხოვრებლებმა მიჰმართეს ქალაქის გამგეობას და სთხოვს, რომ გაგვიწიეთ ხელმძღვანელობა, რომ ჩვენ ხარჯზედ გავიყვანოთ უსუფთაობის არხი ამ ქუჩაზედაო.

◆ მე-2 განყოფილებაში, პრიუტის ჩასახვევში, ამ ქუჩის მცხოვრებთ სურთ გაიყვანონ წყლის მილი; ამიტომ მიჰმართეს გამგეობას და სთხოვეს, გაგვიწიეთ ხელმძღვანელობაო.

—

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება სეკდემბრის 28-ს

სხდომა დაიწყო დილის 11 საათზე

გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლმა გამოაცხადა, რომ იმ პირთ, რომელთაც წინა დღით მოითხოვეს სიტყვის ნება, სთქვან რაც აღძრულ საქმისათვის აქვთ სათქმელიო. დარბაზში არც ერთი იმ პირთაგანი არ იყო. მაშინ სიტყვის ნება მიეცა ი. გ. ჭავჭავაძეს. მეო, სთქვა ილიამ, წინადაც საგანგებო ბჭობაშიაც ვთქვი და ახლაც ვამბობო, რომ რაც თანხა გვაქვს, არ უნდა დავანაწილოთ, მითი ჩვენ უნდა დავიკმაყოფილოთ მხოლოდ ერთი უმთავრესი საჭიროება და ამ უმთავრეს საჭიროებად-კი მე მიმაჩნია სააზნაურო სკოლის შენობის დამთავრებაო. სხვა საჭიროებათა გაძღოლა ბ-ნ ილიას აზრით შეიძლება თავად-აზნაურობის ქარვასლის შემოსავლით, თუმცა ამის წინააღმდეგია გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, რომლის აზრით ახლანდელ კრებას არ შეუძლიან—ერთი ფორმალურის მოსაზრების გამო, ამ ჟამად ქარვასლის შემოსავალს ესა თუ ის დანიშნულება მისცეს. ის თანხა, რომელიც თავად-აზნაურობას ეძლევა, ილიას აზრით, შეიძლები დახარჯულ იქმნას საერთო საჭიროებათათვისაც, რაიცა ცხადად სჩანს იმ მოწერილობაში, რომელიც ბანკს მოუვიდა ფინანსთა მინისტრისაგან.

ამ აზრს არ დაეთანხმა თავმჯდომარე კრებისა—გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლი და აღძრულს საგანზე მოსპო ბაასი.

მ. ვ. მაჩაბელი ეთანხმება ილია ჭავჭავაძის აზრს დ̃ ამბობს, რომ ასე მოხმარება ბანკიდან გამოსატან ფულებისა სასარგებლოც იქნება და სასურველიცაო, მხოლოდ საჭიროა განვიმარტონ—რამდენად კანონიერი იქნება, რომ ასე მოვიქცეთო.

ამავე აზრისანი არიან თავ. პ. ზ. ჩოლოყაშვილი და ვ. რცხილაძე.

ვ. რცხილაძე იხილავს შემოსავალ-გასავლის აღრიცხვას და ამბობს, რომ ზოგიერთი მუხლები ზედ-მეტად არის შეტანილებიო, თანხა არ უნდა იქმნას დანაწილებული, უმჯობესია მთელი თანხა სკოლის შენობის დასრულებას მოხმარდესო.

თავ. ანდრონიკაშვილი ამბობს, რომ გავეცანი-რა შემოსავალ-გასავლის შემდგენელთ მოსაზრებათ, უარს ვამბობ ჩემს წინადადებაზე საერთო საჭიროებათათვის გადადებულ მთელი თანხის სკოლისათვის მოხმარების შესახებ და ვთხოულობ, რომ დამტკიცებულ იქმნას საგანგებო ბჭობის მოხსენება.

გ. დ. გაბაშვილის აზრით მოხსენებაში ნაჩვენები საშუალება სკოლის შენობის დასრულებისათვის საუკეთესოა და ამიტომაც თხოულობს ნუ გაართულებენ საქმეს, არამედ ეხლავ დაამტკიცონ მოხსენება.

ს. რ. ვახვახიშვილი ახალციხის საქალებო სკოლისათვის თხოულობს 500 მანეთს. გარდა ამისა, გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლს ეკითხება: შესაძლებელია თუ არა ექსტრაორდინარულ თანხიდან შემწეობა აღმოეჩინოს ყოველ წლიურად სიტყვის საბრძოლ მორტირებისათვის 5.000 მანეთით, როგორც ამას სჩადიოდა ბანკის ზედამხედველი კომიტეტი?

თავმჯდომარე უპასუხებს—შეიძლებაო. გ. დ. გაბაშვილი უერთდება ვახვახიშვილის თხოვნას ახალციხის სკოლისათვის ფულის გადადების შესახებ, ხოლო ამბობს, რომ მიცემით 300 მანეთი უნდა მივცეთ, რადგანაც სკოლაც ამდენს თხოულობსო. მომავალ საქალებო სკოლისათვის შემწეობის აღმოჩენის თაობაზე იგი სრული თანახმაა მოხსენებაში მოყვანილის აზრისა და თხოულობს მის დამტკიცებას.

თ-დი გ. ი. თარხნიშვილის აზრით ახალციხის საქალებო სკოლას არ უნდა მიეცეს იმაზე მეტი, რასაც თვით სკოლა თხოულობს. ამასთანავე იგი კითხულობს,—ის დაწესებულებანი, რომელთაც ხარჯთ-აღრიცხვით შემწეობა ეძლევათ, მიიქცნენ თუ არა თავად-აზნაურობისადმი თხოვნით? ორატორის აზრით შემწეობაც მხოლოდ იმათ უნდა დაენიშნოსთ, ვინც თავად-აზნაურობას ჯეროვანის თხოვნით მიჰმართავს.

თ დი ი. გ. ჭავჭავაძე ლაპარაკობს ახალციხის სკოლის გამო და თხოულობს, რომ შემწეობა უფრო მეტი მისცენ, ვიდრე 300 მანეთი, რადგანაც ეს თანხა ვერ დააკმაყოფილებს ამ სკოლის მრავალნაირ საჭიროებასაო.

ი. ს. ჭავჭავაძის აზრით სააზნაურო სკოლის დასრულებისათვის გადასადები თანხა უნდა ექვემდებარებოდეს საგანგებო ბჭობის წევრებს.

მ. ვ. მაჩაბელი არ ეთანხმება თ-დის თარხნიშვილის აზრს, რომ შემწეობა აღმოეჩინოსთ მხოლოდ იმათ, ვინც ითხოვს. ახალციხის სკოლისათვის შემწეობის აღმოჩენის თაობაზე იგი იმ აზრისაა, რომ კრებამ პრინციპიალურად გადასწყვიტოს მიცემა, ხოლო რაოდენობის განსაზღვრა მიენდოს საგანგებო ბჭობას, რადგანაც, მისის აზრით, 300 მ. ითხოვა სკოლამ მხოლოდ სითავდაბლის გამო.

ა. ნ. ფურცელაძე თავის გუშინდელს აზრს ადგას და კვლავ თხოულობს, რომ მთელი თანხა მოხმარდეს სათავად-აზნაურო სკოლის საჭიროებათ.

მ. ვ. მაჩაბელი გამოეკამათა ბ-ნს ა. ნ. ფურცელაძეს და სთქვა, რომ სკოლის შენობისათვის ამ ჟამად არ არის საჭირო დიდი ფული, რადგანაც მომავალ წლის იანვარში სკოლის საქმეები ყოველ მხრივად იქნებიან განსჯილნიო.

სხდომა გადაიდვა ამ საღამოსათვის.

ჩვენებური ამბები

ქუთაისი. ქუთაისის ქალაქის საქმეები (დასასრული*). მაგრამ საამისოთ ვერ ამზადებს მას ერთი გარემოებაც. ესაა ძველებური გადასახადი ხიდებზე, რომლითაც მას თავის პატრიარქალურ სახელის ჩამორთმევას ვერ უბედავენ განახლებულ საბჭოს „მამებიც“-კი. ამ სახით ეს საკითხი აი როგორ ვითარებას იცდის. ქალაქის თვითმმართველობის შემოღების ხანებში ქუთაისს ფოთისაგან ვალი აუღია ნიკოლოზის (დღეს თეთრად წოდებულ) ხიდის გასაკეთებლად. ამ ვალის გასასტუმრებლად მაშინდელის ნამესტნიკის ნებართვით შემოუღიათ გადასახადი ამ ხიდზე. შემდეგ 1875 წელში მიხეილის (წითელი) ხიდიც ზედ მიუყოლებიათ უფულობის გამო და დღეს მესამე ჯაჭვის ხიდზედაც გასვლა დაბეჟულია. ეს ბაჟები ყოველ 4 წლის შემდეგ ახალ ნებართვას თხოულობდა მთავრობისაგან და კიდეც ღებულობდ̃ ამას. დღეს 17,000 მან. ასულს ამ გადასახადს „ქალაქისმამები“ ასე ადვილათ ვეღარ ელევიან მიუხედავათ იმისა, რომ იგი არც ერთ კეთილგანწყობილ და კულტურულათ წინ წასულ ქალაქში არ არსებობს. მაგრამ, რადგან ქუთაისი ამგვართა რიცხვებში ჯერ კიდევ ვერ იგდებს თავს, ამისთვის მისს მოურავს ვრცელი მოხსენება დაეწერა იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ ქუთაისს, მიუხედავათ კანონიერ (საქ. დებ. 6 პარ. და 135 სტ. ძალით) უფლებებისა, მისი უსუსურობის გამო ჯერ კიდევ დიდხანს ვერ შეელევა ხიდების სარფიან გადასახადსაო. „ის გარემოებაო, ამბობს გამგეობა, რომ ქალაქის ფინანსიური მდგომარეობა არის ნამეტან ხელშეუწყობელ პირობებში, ეს ყოველ ეჭვს გარეშეა; უსალსრობის გამო ქალაქის მკვიდრის უპირველესი საჭიროებანიც-კი ვერ დაგვიკმაყოფილებია. ჩვენი ქალაქი ერთი იმ მცირე-რიცხოვანთაგანია, რომელთაც ჯერ-ჯერობით არ აქვთ არც მილის წყალი, არც გაუმჯობესებული განათება, არც ხეირიანი ქუჩები (ჩვენ-კი სოფლებშიაც არ გვეგულება ქუთაისისთანა მტვრიან-ტალახიან ქუჩები); სახალხო განათლება, მკურნალობა და სანიტარული კეთილ-განწყობილება არის თვით სამწუხარო მდგომარეობაში დ̃ ყოველივე ეს იმის ბრალია, რომ შემოსავლის მომეტებულ ნაწილს სავალდებულო ხარჯები ნთქავს. დღევანდელი ეკონომიური მდგომარეობა ქალაქისა წინა წლებისაზე უარესია, რასაც უკანასკნელი წლების დეფიციტებიც მოწმობენ. 1898 წ. ხარჯთ-აღრიცხვა დამთავრდა 32,126 მ. და 70 კ. დეფიციტით, 1899 წ.—71,583 მ.24 კ., 1900 წ.—72,131 მ. 6 კ. დ̃ 1901 წ.—70,069 მ. 49 კ. ამ გვარ ფინანსიურ მდგომარეობაში ხიდის გადასახადის მოსპობა, რომელიც 17000 მ. იძლევა, მეტათ უკიდურეს მდგომარეობაში ჩააგდებს ქალაქის ბიუჯეტს,

---

*) იხ. „ივერია“ № 206.

ფელეტონი

წერილი რაჭიდგან *)

(გზა და გზა)

II

რაჭაში გარდაიცვალა მაზრის წინამძღოლად ნამყოფის აზნაურის კვიტაშვილის მეუღლე, წერეთლის ასული ანა, ქალი მდიდარი და უშვილო, ერთად-ერთი მემკვიდრე თავის მამა-პაპეულის დიდი ადგილ-მამულისა და რამოდენიმე ათი-ათასი თუმნის ნაღდი ფულის პატრონი.

საზოგადოდ, ამ ქალის გარდაცვალებამ, თითქმის, მთელი რაჭა აალაპარაკა და დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, მეტადრე თავად-აზნაურობაში. „რა უყო მდიდარ შეძლებას“, „ვის რა დაუტოვა“, „რამდენი დასტოვა საქველ-მოქმედოდ“ და „რომელ საქველ-მოქმედო დარგს და საჭიროებას რამდენი დაუტოვაო“,—ყველგან ესრეთი კითხვები გაისმოდა რაჭაში.

— თქვენ არ მომიკვდეთ, ამბობდა ერთი შეპალარავებული დარბაისელი თავადიშვილი, ნამდვილად შევიტყვე, ოცი ათასი მანეთი ნაღდი ფული დაუტოვებია „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისათვის“ და ათი ათასი მანეთი ქართველთა საერო მუზეუმის სახლის ასაგებადაო...

— კი, ბატონო, ეგ ამბავი ჩვენც გევიგეთ, უთხრა მას ერთმა ჭაბუკმა, რომ წერა-კითხვის საზოგადოებასა და ქართულ საერო მუზეუმს ოც-და-ათი ათასი მანეთი დაუტოვაო, მაგრამ იმასაც მოგახსენებენ, მთელი თავისი დიდი შეძლება—ადგილ-მამული, ტყე-მინდორი, სახლ-კარი და ნაღდი ფული, ერთის სიტყვით, რაც-კი რამ ქონება გააჩნდა, სულ რაჭველებისათვის დაუტოვებია, განურჩევლად წოდებისაო.

— როგორ თუ რაჭველებისათვის, რანაირად, შე კაცო?

— რანაირად და მოგახსენებთ: უანდერძებია, რომ გაიხსნას სოფელ ამბროლაურში ქალთა და ვაჟთა ხუთ-კლასიანი სასწავლებელი რაჭის მოზარდ თაობისათვის.

ერთი მუხლი ანდერძისა ამბობს შემდეგს: გაიხსნას სოფელ ამბროლაურში ხუთ-კლასიანი ვაჟთა და ქალთა სასწავლებელი, საბალოსნო და სახელოსნო განყოფილებით, რომელშიაც ქართულ ენას ჰქონდეს უპირატესობა მინიჭებული და, თუ ვინიცობაა, ოდესმე ქართულ ენას უპირატესობა ჩამოერთმევა მოხსენებულს სკოლაშიო, მაშინ ყველა ჩემი ნაანდერძევი ქონება ჩამოერთვას სკოლას და ჩემს კანონიერ მემკვიდრეებს გადაეცესო.

— იმე, ბატონო, ჩვენი მამა-პაპათა ანდერძი,—ჩამოერია მესამე, ენა, რჯული და მამულის შენახვა იყო; ამ სამი საგნისათვის იბრძოდნენ მთელი საუკუნოები და ჩვენამდის წმინდად მოიტანეს და გადმოგვცეს, რომ ჩვენც, სპეტაკად შენახული, შთამომავლობას წმინდად და უმწიკვლოდ გადავსცეთ.

— ნათლად მიდგია თვალ-წინ დღევანდელი დღესავით საწყალი მამაშენი; რა ალტაცებით და გაბრწყინებული სახით იტყოდა ხოლმე ზეპირად ამ ლექსს:

„ენა ცხოვრების წყაროა,
უკვდავი, დაუშრობელი,
ენა კუკური ვარდია,
ხალხისთვის დაუჭკნობელი,
ენა წარსულის მოწმეა
და მომავალის მშობელი,
ენა სიბრძნეა აწმყოსი,
ლამპარი გაუქრობელი;

—

ენა აქვს კაცობრიობას
კედლად და საფუძვლადა,
ენა სვეტია ერისა,
მასზედ სდგას იგი მრთელადა;
ენა აზრს დაასურათებს
და შეიქმს ხორციელადა,
ენაში გამოიხატვის
ბუნების ძალა ვრცელადა.

—

ენაა ხალხის დიდების
სალარო შესანახავი,
წარსულთა საუკუნეთა
შენს წინა გამომსახავი;
ენა სიწმინდის კვერთხია,
უზადო, დაუზრახავი,
ენაში მოინახების ყოველი მოსანახავი.

—

რა ბავშვი შობოს დედამა,
ძუძუ აქვს საწოებელი,
ერთად ძუძუსთან ენაა
იმისი მსაზრდოებელი;
ენა თან დასდევს, მსახურობს,
ვითა ერთგული მხლებელი,
ენაა მისი საკვები
და მისი მაცოცხლებელი.

—

ენაა მანათობელი,
გვირგვინი ხალხოსნობისა,
ენა სულია ცხოველი
იმისი არსებობისა,
ენა ჯილდოა ღვთიური
კაცობრივისა გრძნობისა,
ენა ერთობის ხიდია
და კავშირია ძმობისა.

—

ბავშვი ენითა გაიცნობს
თავისა გარემოსა,
სულიერის და უსულოს
საგანთ სახელს და გემოსა,
ვინც რომ ზამთარი გაცარცვა
და გაზაფხული შემოსა,
მოქალაქობას, სამართალს
კერძოსა, გინდ სათემოსა.

—

დედას რომ შვილი მოსტაცო,
აღარ აჩვენო თვალითა,
მშობლიურის გრძნობით ნაწლევნი
დაეწვის ცეცხლის ალითა;
ვერ შეუმცირებ სატანჯველს
ვერა ყინულის წყალითა,
მაგრამ მეორეს დაბადებს
ბუნებრივისა ძალითა.

—

თუ ხალხს სამშობლო წაართვით,
განსდევნეთ სხვაგან ბნელშია,
ხალხი კვლავ ხალხად დარჩება,
არ დაინთქება ხვრელშია;
ან შეიქმს ახალ სამშობლოს
უდაბურს ტყე და ველშია,
ან დაიბრუნებს თავისას,
მტერს გამოსტაცებს ხელშია.

—

ენა გვაქვს წინაპართაგან,
ვით განძი გადმონაცემი
და, როგორც სჯული, ენაა
უმაღლეს პატივ-საცემი;
ვინც ენას დაამახინჯებს,
იქნება მისი დამცემი,
ის ჩაითვლება საეროდ,
ვითარ იუდა გამცემი.

—

ტირილი განსვენებული ანა კვიტაშვილისა დანიშნული იყო მისი გარდაცვალების მეათე დღეს, მარიამობისთვის 14-ს; მრავალი ხალხი ჰყავდა მიპატიჟებული. სხვათა შორის, რასაკვირველია, ჩვენს გულუხვ მასპინძელსაც მოუვიდა მიპატიჟების ბარათი. ისინი მოემზადნენ წასასვლელად. ჩვენ გადაწყვეტილი გვქონდა ნიკორწმინდის ტაძრის და ჰელიშის მამათა მონასტრის ნახვა და რადგანაც გზა იქით იყო, მასპინძლის რჩევით, ჩვენც მათ გავყევით. დიდის გაჭირვებით მოგვიხდა გადასვლა მდ. რიონზედ გადადგმულ ბუგეულის ხიდზედ, რომლის განახლებასაც ახლა შესდგომიან. ძველი ფიცრები მთლად აუყრიათ და ნათხოვრად სამ-სამი ფიცარი გაულაგებიათ, ცხენ-ჯორი ძლივს გავიყვანეთ ამ დაზიანებულსა და საშიშარ ხიდზედ. გაღმა მრავალს მომტირალ ასაბიას შევუერთდით, ასე, ჯარად შეყრილნი, გავუდექით გზას. ცოტა ხნის სიარულის შემდეგ, როგორც ჩვენმა მასპინძელმა, აგრეთვე ზოგმა ნაცნობმაც გვირჩიეს შევევლო სატირალში, გვენახა აქაური საზოგადოება და ტირილის წეს-რიგი.

---

*) იხ. „ივერია“ № 203.

რადგან არავითარი შეძლება არ არის ამოვავსოთ რითიმე ის სიცალიერე, რაც გაჩნდება ქალაქის ხარჯთა-აღრიცხვაში ამ გადასახადის მოსპობით. შეცდარია,—განაგრძობს გამგეობა, ის აზრიც აქაურ პალატის თავმჯდომარისა, რომ უძრავ მამულების ხელ-ახალი დაფასებით ქალაქს შემოსავალი მოემატებაო, რადგან ამგვარი შემოსავლით ქუთაისი ჯობნის ტფილისსა და ბაქოსაო. იმ დროს, როცა ქუთაისში „оцѣночный сборъ“-ი 27$^0/_0$ შეადგენს საერთო ბიუჯეტისას, ტფილისში იგი 26$^0/_0$-ია, ბაქოში-კი 18$^0/_0$-ი. აგრეთვე ნაკლებია აქ რაოდენობა მამულებზე ხარჯის გაღებისა, ვინემ კავკასიის და რუსეთის ქალაქებში. ქალაქის თვით-მმართველობისაგან-კი სრულიად საფუძვლიანათ თხოულობენ როგორც ადმინისტრაცია, ისე მცხოვრებლები ქალაქის კეთილ-განწყობილებას, გაუმჯობესებას. ამისათვის ჩვენ ვთხოულობთ, რადგან კანონითაც უფლება გვაქვს და მკვიდრიც შეჩვეულია ამ გადასახადს, დაგვრთოთ ნება კიდევ ხუთ წელს ვადა ვითხოვოთ მთავრობასთან ამ გადასახადის გაგრძობისა და საბჭოც შეუსიტყვებლად დაეთანხმა გამგეობას. მეორე გვარი გადასახადები, რომელსაც ხიდის გადასახადიც ეკუთვნისო, სთქვა ხმოსანმა გ. ქორქაშვილმა, სრულიად არაა სამართლიანი, რადგან იგი ყოველთვის ღარიბებს აწვება კისერზეო.

23-სავე აღიძრა ორის საჭირ-ბოროტო საკითხის გადაწყვეტა. ეს იყო სავაჭრო „ბუტკების“ აშენება სიმონოს მახლობლად ქალაქის სასწორის მიყოლ-მოყოლება და ბოლოს საბჭოს მდივნის ამორჩევა. პირველი საკითხის შესახებაც მოხსენებით წარმოსდგა გამგეობამ, რომელიც ქალაქის კასისათვის შემოსავლის ახალ-ახალ წყაროების გულსმოდგინე ძებნაშია გართული. იგი ურჩევდა საბჭოს ნება მიეცა სასწორის ერთ გვერდზე „ბუტკები“ აეშენოს და მით 1000 მ. შემოსავალი გაუჩინოს ქალაქს. მაგრამ ქალაქის კასისათვის ამ კეთილ აზრთან გამგეობას, მწვანე ბაზრის მოედნის არ იყოს, აქაც კარგათ ვერ მიუხედ-მოუხედავს და დაუნახავს, რომ აქაც ნამეტანი სივიწროვეა და „ბუტკების“ გაშენებით ხომ საძრაობა აღარ იქნება გამყიდველ სოფლელებისა და მყიდველ ქალაქელებისათვის. ამის ასაცდენათ-კიო, სთქვა ხმოსან—ბ. მოსეშვილმა, საჭიროა შეიყიდოს ქალაქმა მეზობელ მეპატრონეთაგან რამდენიმე საჟენი ადგილი, ჩამოსჭრას გორა და აი იქ გააშენოს „ბუტკები“-ო, რაც ჩვენის აზრითაც მიუცილებლად საჭიროა, რადგან კვირა-პარასკეობით სივიწროვის გამო ყაფანის გაყოლ-გამოყოლება არა თუ ეტლით, ქვეითადაც გავლა დიდის ჯიკავ-ჯიკავით უხდება ტროტუარსა და ქუჩებზე მიმავლებს. თუ ამას იქაურ მუდმივ უწმინდურებას დაუმატებთ, რასაც ხმოსან-კირილ ბექანიძა „სიმყრალის ძეგლი“ უწოდა,—მაშინ ქალაქს-კი მართებს უსათუოთ შემოიმატოს მეზობლისაგან ადგილი და გააფართოვოს ეს ერთად-ერთი სასწორიანი სავაჭრო მოედანი შუაგულ ქალაქში.

6 საკითხის გადაწყვეტის შემდეგ დანარჩენი საკითხები სხვა დროისთვის გადადვეს და სეკრეტრის ადგილზე კანდიდატები დაასახელეთო, გამოაცხადა თავმჯდომარემ. ანტრაქტში ხმოსნებიც აიწურ-დაიწურნენ და დაასახელეს ორი კანდიდატი: ა. კრინიცკი, ი. ჯაფარიძე და ქაღალდის ჩამოტარებით პირველს მოუვიდა 9 ხმა, მეორეს 20. კრინიცკის როცა შეეკითხნენ, მაინც დაიდგა ყუთი იმ იმედით, რომ ქუთაისში იდუმალი კენჭობია სწყვეტს საქმესო და ვინ იცის, იქნებ მაინც გავთეთრდეო, რადგან ხმოსნები შეპირებასაც ყოფილიყვნენ. ამასობაში თავმჯდომარეს ვიღაც ხოჯევანოვისაგანაც მოუვიდა წერილი ყუთი დამიდგითო და თავმაც ჩამოამწკრივა სამი ყუთი. ის იყო კენჭობა უნდა დაწყებულიყო, გაისმა ხმა: Давидъ Артемичъ, прошу снять мой ящикъ“-ო და გაოცებულმა თავმაც გადადგა კრინიცკის ყუთი. სამიოდე ხმოსანი კენჭობის გაექცა და დანარჩენ 36-ში ივანე ჯაფარიძეს მოუვიდა 33 თეთრი და 3 შავი, ხოჯევანოვს-კი 3 თ. 33 შ. ამგვარათ ქალაქის თვითმმართველობას შეემატა ახლად კურსდამთავრებული მშრომელი ახალგაზდა, რომელიც, იმედია, ნაკისრს საქმეს ვადამდე არ გაექცევა და ქალაქის საქმეებში თავისს წვლილს შეიტანს.

23 ენკ. კრებაზედ ხმოსნებმა პ. თუმანოვმა და შ. დარახველიძემ უკმაყოფილება განაცხადეს ახლანდელ უძრავ მამულების დამფასებლებზე. ისინიო, თქვეს მათ ერთგვარის აზრით, არ ხელმძღვანელობენ მამულების დაფასებაში, სხვა-და-სხვა ალაგას და სხვა-და-სხვა მამულზე სხვა-და-სხვა საზომი აქვთ და ამგვარი მოქმედება-კი მათ შეცდომაში შეიყვანს, აქ სადიდხნობოთ გადასაწყვეტ საკითხს ადვილათ მოიცილებენ თავიდგან სიჩქარის გამო და მერე-კი გვიანღა იქნება „თითზე კბენანიო“. სიჩქარით ასეთი კაპიტალური საქმის გაკეთება სანანებელი იქნება და რომ ეს არ მოხდეს, საჭიროა ახლავე მიიღოთ ზომები ამის თავიდან ასაცილებლადაო. თავმაც მოახსენა გამაფრთხილებელ ხმოსნებს: წინდაწინ ამის თქმა ნაადრევია. მე ჯერ არაფერი ცნობები არ მაქვს დამფასებელ კომისიების მოქმედებისა და რადგან ასეა, მე შევკრებ მათ, გავეცნობი მათ ნამოქმედარს და მოველაპარაკები საქმის უმჯობესად წარმოებაზე. ქალაქის გამგეობა მიიღებს ყოველ ღონისძიებას, რომ ამგვარი უსამართლობა არ მოხდესო, უთხრა გამგეობის უფროსმა წარმომადგენელმა და მით დააშოშმინა გაფთხილებულ მსხვილ მემამულეთა ხმოსნების გული, რომელთათვისაც სამართლის ძებნა ასე ადვილია, მაგრამ რა ქმნას რაღაც თითო ოხერი ფაცხის, თუ ქოხების მქონებლებმა,- რომელთაც წარმომადგენლები სრულებით არა ჰყავთ არც საბჭოში და გარეშეთ ვერც ისე ადვილათ იშოვნიან თავიანთ ინტერესების დამცველთ. ამათთვის-კი ვინ ან სად ზრუნავენ?!

ისო.

უცხოეთი

საზღვარ-გარეთიდან.

(წერილი მესამე)

ახალი ხერხი ფოსტით წერილების სწრაფად გზავნისა. როგორც წინადაც მომხდარა ხშირად, ორმა ტეხნიკოსმა, მერე ისიც სულ სხვა-და-სხვა სახელმწიფოში მცხოვრებელმა, ერთსა და იმავე დროს მოიგონეს ახალი ხერხი წერილების სწრაფად გზავნისა. ეს ხერხი იმაში მდგომარეობს, რომ მავთულიან რკინის-გზის პატარ-პატარა ვაგონებით მისრიალებს პაწია ყუთები შიგ ჩაწყობილ წერილებით. მავთულიანს რკინის-გზას ელექტრონის ძალა ამოძრავებს. საფრანგეთის ინჟენერმა, რომელიც მარსელიდან არის, უკვე აიღო პრივილეგია თვის მიერ მოგონილის ელექტრონის ფოსტისა. ამ ფოსტის წყალობით თითოეულს პაწია ვაგონს შეუძლიან გადაიტანოს სრული 200 კილოგრამის სიმძიმის წერილები ($12^1/_2$ ფუთი) 150 კილომეტრის მანძილზედ საათში (კილომეტრი თითქმის ერთს ვერსს უდრის). მერე არც შიში რაიმე შეცდომისა და არც ვაგონების შეჯახებისა, რაიცა ასე ხშირია რკინის-გზებზედ, როცა რელსების გზა ორად და სამად იყოფა.

უფრო დაწვრილებით აღგვიწერს იტალიური გაზეთი „La Tribuna“ თავის თანამემამულის ინჟენერ პიშინელი-ტაჯის მოგონებას. ეს ინჟენერი უკვე გაემგზავრა ინგლისს თვისის მოგონების მოდელებით და იქ უნდა სცადოს, რაოდენად გამოდგება მისი მოგონება წერილების სწრაფად გზავნისა ლონდონ-ლივერპულს შუა. იტალიელი ინჟენერი ამბობს თურმე, რომ საათში ჩემი ვაგონეტკა, ალუმინისაგან გაკეთებული, გაივლის 400 კილომეტრსაო. კაცი თვალს ვერ მოასწრებს ვაგონეტკა ისეთის სისწრაფით ისრიალებს და ვერც გაარჩევს ერთს მეორესა და მესამისაგან, რომელიც ზედი-ზედ მიჰყვებიან ერთმანეთსო. რომიდან ნეაპოლს გაგზავნილი წერილი მოვა იქ ერთს საათში, ხოლო მილანს ორს საათშიო. თუ ვაგონეტკები აქეთ-იქით არის წასასვლელი და გზა არის ასაქცევი, ესე ყოველივე ავტომატიურად იქნება მოწყობილი და ვაგონეტკები ერთმანეთს არაოდეს არ დაეჯახებაო.

ამას გარდა, მოგონილია ხერხიცა, რომ უფრო სწრაფად მივიდეს ან მიტანილ იქმნას წერილი ელექტრონის ფოსტის უმთავრეს სადგურში. ის ყუთი, რომელშიაც ჩაუშვებენ ხოლმე წერილებს, სვეტსა ჰგავს, შიგნით ცარიელსა; ეს სვეტი უმთავრეს სადგურთან დაკავშირებულია. მიუახლოვებთ თუ არა წერილს ამ სვეტსა, მაშინვე, თითქო პირი მოავლო და ჩაიხვიაო, ისე სჩანთქავს აპარატი თქვენს წერილს და გაგზავნის ვაგონეტკით უმთავრეს სადგურში. თან ავტომატიურად აღნიშნავს, რომ ფული მიღებულია, წერილის გასაგზავნიო, ესე იგი წაჰმურავს მარკებს. სადგურში მიღებულს წერილებს მაშინვე რიგზედ აწყობენ და მაშინვე ჰგზავნიან ვაგონეტკებით, რომელიც უკვე ახლავე აქვთ დარიგებული ფოსტალიონებს.

ნამდვილი ელექტრონის ფოსტაა! პიშინელი-ტაჯი ძრიელ მიუახლოვდა სისწრაფის იდეალს. მერე ეს სისწრაფე სრულიად დამოუკიდებელი იქნება დღევანდელ რკინის გზაზედ. მაგრამ იტალიური გაზეთები-კი ძალიან აჰარბებენ, როცა ამ მოგონებას ადარებენ და უმხარდამხარებენ მარკონის მოგონებას, უმავთულოდ დეპეშების გადაცემას.

ი. ს.

სხვა-და-სხვა წერილები

კიდევ უმაღლესად ნაბოძებ 20,000 მანეთის შესახებ.

კარგა ხანია, რაც ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობას თავის სტეხ საგნად გაუხდა უმაღლესად ნაბოძებ 20,000 მანეთის განაწილება. რამდენი თავიცაა ქუთაისში, მგონია, იმდენი სხვა-და-სხვა აზრი იყო წამოყენებული ამ საკითხის გადასაწყვეტ-გადასაჭრელად. ზოგი ამტკიცებდა, რომ ეს თანხა უეჭველად სტიპენდიებს მოხმარდესო, ზოგიც ამა თუ იმ სასწავლებლის დაარსებას გვირჩევდა და ზოგიც კიდევ რას...

დარწმუნებული ვარ, რომ ბედურა ჩიტის რამოდენიმე კაცთა შორის განაწილება უფრო ძნელია, ვინემ ინდაურის, ან კიდევ ბატკნის, მაგრამ იმაშიაც კარგად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენი ამ საგნის შესახებ მითქმა-მოთქმა ჩვენ მტერ-მოყვარე მეზობლებს სასაცილოდ არ ჰყოფნით და თანაც „სადადავი იმერლები! 20,000 მანეთი ვერ გაუნაწილებიათ და ჩოხელ-როტშილდის ქონება რომ ჰქონოდათ გასანაწილებელი, მაშინ რაღა ეშველებოდათო“! გაიძახიან...

შეიძლება, დიდი გულ-შემატკივრობა არ გამოიხატებოდეს ამ სიტყვებში, მაგრამ მართალნი-კი არიან: წამალი ყოველთვის ნატკენ ადგილს სჭირდება; მოჭრილის მაგიერ საღ ადგილს რომ მალამო დაადოთ, რა ჭკუაა და ან რა გამოვა აქედგან?!? ჩვენ-კი ზოგიერთები ასე ვიქცევით სწორედ: ხელი გვტკივა, თუ ფეხი, ცხვირი, თუ თვალი და რომელ მათგანს უფრო ეჭირვება ექიმობ-წამლობა, ეს ვერ მივმხვდარვართ და ხან რას მივდებით, ხან, რას... აი რა გამოვიტანე ამ დაუსრულებელ საუბრიდგან, ძვირფასო მკითხველო!..

როგორც ვიცით, პირველი კომისიიდგან შემუშავებული აზრი, რომ ეს ფული სტიპენდიებს მოხმარდესო, უარჰყო კრებამ და ხელ-მეორედ არის არჩეული კომისია, რათა მან შეიმუშაოს სკოლის ტიპი, რომელსაც უნდა მოხმარდეს ეს 20,000 მანეთი. რომელ ტიპის სკოლას აირჩევს კომისია, ამას მალე დავინახავთ, მხოლოდ სასურველი-კია, რომ კრებამ და კომისიამ ორთავემ იმ ტიპის სკოლა აირჩიონ, როგორსაც გვირჩევდნენ ბბ-ნნი აკაკი, დუტუ მეგრელი და მათი თანამოაზრენი. რისთვის? აი, რისთვის: ჩემი აზრით, ქართველებისათვის, თუ გსურს, რომ მომავალი ჩვენი იყოს, აუცილებელი საჭიროა გამდიდრება და გამრავლება. დღევანდელი ჩვენი ოჯახი-კი ხელს უშლის პირველსაც და მეორესაც...

ჩვენი ნივთიერად წინ წასვლა, გამდიდრება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც ხელი-ხელ ჩაკიდებული დიდი და პატარა, ცოლი და ქმარი—ოჯახს ხელს მოჰკიდებს, მის საკეთილდღეოდ იმუშავებს. ავიღებ მაგალითად, სადაც ერთი ანაბანა არავინ იცის, მისთანა გლეხის ოჯახს (აქ სახეში მყავს ზემო იმერეთის გლეხის ოჯახი), აქ ჭირი და ლხინი, მუშაობა და ხვავრობა ცოლ-ქმრისთვის საერთოა. ქმარი დილა-ადრიანად მიდის ყანაში სიმინდის გასათოხნად, ცოლი შინ რჩება და სადილს უმზადებს, ბოლოს სადილი ყანაში მიაქვს თავის ქმართან, „მეუღლესთან“. ისადილებენ ერთად. ქმარი ერთი-ორი საათით იძინებს, ისვენებს, ცოლი-კი ჰკიდებს თოხს ხელს და ქმრის მაგიერ თოხნის. აგრეთვე ხდება მკის დროსაც: რაც დრო რჩება სადილ-სამხრის გაკეთებას—ცოლი მას ყანაში ატარებს თავის ქმართან. ქმარი მკის, ცოლი ძნას აზვინავს, ან ჰკონავს, ან ურემზედ უდებს ძნას და მიაქვს შინ. რთველზედაც ასე იქცევა იგი: ქმარს გვერდში ამოუდგომია, ყურძენს კრეფს, საწნახელში მიაქვს და სხ. ერთი სიტყვით, გლეხის ოჯახში ცოლ-ქმარი ნამდვილი „მეუღლეები“ ჭირში და ლხინში განუყრელი მეგობრები არიან. ასე ხდება არამც თუ მარტო ზემო-იმერეთში, არამედ ყველგან ჩვენებურ გლეხის ოჯახში. და აი მიზეზი, რომლის შემწეობით მან წინ გაგვისწრო, წინ წავიდა... ღმერთი შეეწიოსთ, ჩვენ ეს არ უნდა შეგვეხარბოს, მხოლოდ სასურველი-კია, რომ ოჯახობაში ჩვენც მათ დავემსგავსოთ და წერა-კითხვის ცოდნის ზედდამატებით მათზე წინაც წავიდეთ... მხოლოდ რა ნაირად და რომელი სასწავლებლის შემწეობით შეგვიძლია ამის მიღწევა? სწორეთ იმნაირ სკოლის შემწეობით, როგორსაც გვირჩევს ბ-ნი აკაკი...

მართალია, დღეს ჩვენ გვაქვს 8—9 კლასიანი ქალების სასწავლებელი, მაგრამ მათგან მოტანილი ნაყოფი ხარჯთან შედარებით ძალიან მცირეა. მრავალ ჩვენ ქალებს დაუსრულებია აქ სწავლა, მაგრამ, გარდა ორიოდისა, რომელიც მასწავლებლათ არ შესულა (მასწავლებლობა ხომ ყველას არ შეუძლია!?) ან და სადმე სასამართლო-კანტორაში არ მსახურობს, უსაქმურათ დაპაუნობს, მშობლებს გახდომია სამარადისო სარჩენ-ტვირთათ... რისთვის? მისთვის, რომ ჩვენ სხვა პირობებში ვცხოვრობთ, ისინი-კი სხვისთვის არიან მომზადებულნი. თანაც გადაავლეთ თვალი ტფილის-ქუთაისს, რამდენი სწავლა-დამთავრებული ქალი ტკეპნის უსაქმურობით აქაურ ქუჩა-ბაღებს; რამდენს მათგანს სული კბილით უჭირავს, რომ გათხოვდეს, მაგრამ ვინ წაიყვანს? შპილგანენის რომანების კითხვის მეტი მაგან არა იცის-რა, თავის ხელით გაკეთება მაგას არაფრის შეუძლია, თითოეული მაგის კაბის შესაკერავად მაგის თვალ-დამდგარმა ქმარმა 15—20 მანეთი უნდა იხადოს და რა ეშმაკათ მინდა მაგიო“, გაიძახიან ჩვენი ემაწვილები. ან ვინ გაამტყუნებთ?! ჩვენი ქალები წერა-კითხვასთან რომ კარგათ იყვნენ გავარჯიშებული საოჯახო საქმეში, ხელ-საქმის კეთებაში, ამ მოვლენას ვეღარ ვნახავდით, ჩვენი ემაწვილებისგან ამ სიტყვებს ვერ გავიგონებდით. ხშირად დღევანდელი ჩვენი ოჯახი ნამდვილი ჯოჯოხეთია. თანაც განა ჩვენი ცოლ-ქმრობა უდრის მეუღლეობას?! რა ნაირათ, როდესაც იგინი სულაც ვერ უწევენ ერთმანერთს უღელს? დღევანდელი 8—9 კლასი ამ ნივთიერ სიღარიბეში ვერ გვაძლევს „მეუღლეებს“; პირ-იქით ცოლი ქმრის ტვირთია და წარმოიდგინეთ მისი მდგომარეობა, მწუხარება, როდესაც იგი 2—3 თვე ავათ ხდება და მისი ოჯახობა-კი შიმშილით კვდება, ან გაღმი გარდება!.. ჩვენმა ქალებმა რომანების კითხვასთან რომ კარგათ იცოდნენ ჭრა, კერვა, ქსოვა, ხელსაქმის კეთება, საზოგადოთ მეოჯახეობა, ასე აღარ მოხდებოდა, გაჭირვების დროს უქმროთაც შეეძლებოდათ ოჯახის გამოტანა. მაშასადამე, მაშინ უფრო ხშირიც იქნებოდა ქორწინება. ქორწინების გარდა ეხლანდელი ცოლ-ქმარი თუ ხშირათ იმის შიშით, რომ მეტი შვილი არ გვეყოლოსო, ერთმანერთს ვერ ეკარებიან, მაშინ ესეც მოისპობოდა და ჩვენც გავმრავლდებოდით.

დიახ აუცილებლათ საჭიროა—რომ თავად-აზნაურობამ ამ 20,000 მანეთით ჯერ-ჯერობით ქალების პროგიმნაზია დააარსოს, ქუთაისის 4 კლასიან სააზნაურო სკოლის პროგრამით, მხოლოდ ძველი ენების მაგიერ სხვა საგნებს უნდა ასწავლიდნენ. ამ სკოლაში უმთავრესი ყურადღება ქართულ ენას და მეოჯახობა - ხელსაქმეობას უნდა ექნეს მიქცეული. ამნაირი პროგიმნაზია ერთი ათჯერ მეტს შესძენს პრაქტიკულ ცხოვრებისთვის ჩვენ ქალებს, ვინემ დღევანდელი 8—9

მე, რადგანაც იმ აზრით ვიყავი რაჭაში, რომ აქაური ჭირიც მენახა და ლხინიცა, დავთანხმდი, ბევრი ხვეწნა და ჩიჩინი აღარ დამჭირვებია, მით უმეტეს, რომ ძლიერ მსურდა გამეგო განსვენებულისაგან დატოვებული ანდერძის სინამდვილე.

გზაში მთელი ასაბია სიცილ-ხუმრობითა და ღლაბუცით მიდიოდა; ჩემზე, რასაკვირველია, ეს ვერ ახდენდა კარგს შთაბეჭდილებას და ორს ჩემს ნაცნობს ვუთხარი:

— სატირალში მიბრძანდებით ღლაბუცითა და სიცილით და იქ-კი უნდა წაიშინოთ თავში ხელი და იტიროთ, როგორი საქციელია ეს, არ მესმის, თუ გეტირებათ, რაღას იცინით, თუ არ გეტირებათ, რაღათ მიდიხართ?

— ნეტა ეს ჩვეულება გადავარდებოდეს, სთქვა ერთმა ქაბუკმა...

დღეს უკანასკნელი, ოთხას-ხუთასი ჯორცხენი მაინც იქნება იქ, თითო მანათი რომ ჩაუგდოთ ქირა, ეს ოთხას-ხუთასი მანათი გამოვა და ახლა იმოდენი ხალხის გაცდენას არ იფიქრებ! ეს სოფლის ზარალია, თუ არა? ახლაკიდევ ჭირისუფლის ხარჯი, მეტადრე თუ ღარიბია! მიჰყევი ასე და იანგარიშე, სადამდის მიგიყვანს.

— ეპისკოპოზს-კი უბრძანებია, მგონია, რომ მოისპოს ტირილიო, მაგრამ ეს ამ მღვდლის უფრო ეცოდინება; მართალია, თუ არა, მამაო, მართლა აკრძალა ტირილი ყოვლად სამღვდელო ლეონიდმა?

— ყოვლად სამღვდელო ლეონიდს მაგისთანა არა უბრძანებია-რა და არც არა გამოუცია-რა, რომ თქვენს მიცვალებულს თქვენ ნუღარც იტირებთ და ნუღარც პატივს სცემთო, არა, ეგები სულ ტყუილია. ეპისკოპოზმა აკრძალა ის, რომ შემოსილი მღვდლები, საცეცხლურისკმევით თვითოეულ მომტირალს არ შეეგებოს წინ და მეტი არაფერი. ეგრეთვე ბძანა, რომ მიცვალებული წირვაზედ ეკკლესიაში წაასვენეთ ხოლმეო.

— დიახ, ეპისკოპოზს უბძანებია, დილის ცხრა საათზედ წირვაზედ წაასვენეთ მიცვალებულიო, ასე ჟთენია დილის ცხრა საათამდის ტირილს ქვე ვინღა მოასწრებდა? ალბად, ამითი უნდოდა ყოვლად სამღვდელოს ჩვენი ამ გაჭირვებისაგან და ამოდენა ხარჯებისაგან დახსნა, მაგრამ საქმე სხვანაირად მოვაწყვეთ; მაგალითად, ეპისკოპოზი ლეონიდი კვიტაიშვილმა ხვალისათვის მიიწვია, დღეს გამოტირილი აქვს და მიცვალებულს საღამოს, ტირილის შემდეგ, სახტარზედ მიასვენებს, ხვალ ეფისკოპოზის წირვა იქნება და წირვის შემდეგ იქვე დაკრძალავენ მიცვალებულს, ასე რომ ჩვენ ეფისკოპოზის ბრძანებასაც ვასრულებთ და არც ჩვენს ჩვეულებას ვღალატობთ...

მოგითხრობთ, როგორ იციან რაჭაში ტირილი ოდის ზემო-სართულიდგან ზარის (ტირილის) ხმა მოისმოდა. ჭისკარს გარედ რამოდენიმე მოსამსახურე კაცი იდგა მომტირლებისათვის ცხენების ჩამოსართმევად და დასაბინავებლად. მოსულს მომტირლებს აჩერებენ ეზოს ცალკუთხეზედ, ჭისკრისაკენ. აქედგან თვითოეული მომტირალი რიგ-რიგობით მიჰყავდათ ხმა-აშვებულ მოზარეებს სატირლად. მოზარეები დარბაზიდგან (საცა მიცვალებული ესვენა) მიდიან ჩუმად; რომ მიუახლოვდებიან ჯგუფად დამდგარ მომტირლებს, აუშვებენ ზარს (ერთი იწყებს, მეორე ქალალ მოძახილს ამბობს და ორიც ბანს) და გაემართებიან მიცვალებულის დარბაზისაკენ ნელის ნაბიჯით. მომტირალი შემოიკრავს თავში ხელს ხმა-მაღლა დაძახებით: „ვაი ჩემს სიცოცხლეს“, „ვაი ამ დღის მომსწრესო“! და მოჰყვება სიტყვების გარკვეული გამოთქმით ტირილს, ყოველ მომტირალს ორი კაცი (ჩამყოლი) მიჰყვება. ესენი აქეთ-იქით ამოუდგებიან, დაუჭერენ მკლავებს, რომ გამწარების დროს მომტირალმა თმა ან წვერ-ულვაში არ გაიბდღნას, ლოყები არ ჩამოიკაწროს და ან სხვა ძლიერი ვნება არ მიაყენოს თავის თავს.

ხელის გულივით გადაშლილს მწვანე ეზოში დიდი ცაცხვი სდგას; იმის ქვეშ ორ პირად გალაგებულია ქვებზედ გძელი ფიცრები ხალხის დასაჯდომად. აქ უფრო თავად-აზნაურობა და სამღვდელოებაა შეგროვილი. იქვე ორმოციოდ ნაბიჯის მოშორებით, სდგას ახალი ორ-სართულიანი ოდა (სახლი). შესავალ კარების სწორა (პირდაპირ) ეზოში ერთ პიჰს უჭირავს მიცვალებულის საჯდომი ცხენი; სულ მთლად შავებშია ცხენი, რომელსაც უკუღმა ადგია მგლოვიარედ მორთული უნაგირი. კიბის ასავალთან ორი კაცი, რომელნიც არ უშვებენ ცნობის მოყვარე ხალხს მაღლა; ოდის დარბაზის შუა-გულზედ ასვენია ცხედარი; მის პირდაპირ, მარჯვენა კუთხეში, სკამზედ ზის მიცვალებულის გაქალარებული მახლობელი ნათესავი, აქედგან მარცხნივ ფეხ-მოკეცით ჩამომსხდარან ხალიზედ თმა გაშლილნი და მგლოვიარედ მოსილნი მიცვალებულის ნათესავ-მეგობარი ქალები.

მოზარეები მიუძღვებიან მოთქმით მომტირალს კარებამდის, იქ გარდასცემენ მეორე პირ მოზარეებს, რომელნიც დარბაზში არიან და შეუწყვეტლად ამბობენ ზარს.

მომტირალი მიუჩოქებს კუბოს და მოთქმით ეუბნება სიტყვას მიცვალებულს. ზოგიერთი მომტირლის გულ-დამწველ სიტყვების გამგონე მაყურებელნი ცრემლით იღვრებიან.

ჩამყოლის რიგია, რაც შეიძლება, დროით ააყენოს მომტირალი, რომ მეორე მომტირალს არ დაუშალოს, არ შეაჩეროს. ამდგარი მომტირალი მიუტირებს მთავარ ჭირისუფალს შესაფერის სამძიმრისა და სანუგეშო სიტყვების მოთქმით, შემდეგ მეორეს, მესამეს და ასე დაჰყვება ჭირისუფლებს; თუ ალობელია, ტირილის დროს ჩაკონება ან დაჩოქილი ახლოს მესტირის, თუ უნათესაო ჭირისუფალია და, მეტადრე ქალი, ფეხზე დამდგარი რამოდენიმე ნაბიჯის მოშორებით მიუტირებს; ამ გვარად ჩამოჰყვება ჭირისუფლებს და შემდეგ გამოვა მომტირალი გარედ. დამავიწყდა მეთქვა, რომ როცა ტირილს გაათავებს კუბოს წინაშე და მომტირალს მთავარ ჭირისუფალთან მიიყვანენ, მაშინ მოზარე უკან ბრუნდება და კარებიდგან ართმევს მეორე მომტირალს, სანამ პირველი მომტირალი ჩაივლიდეს მისამძიმრ-მიტირლით ყველა ჭირისუფლებს მანამ მეორე მომტირალი ათავებს კუბოზე ტირილს და ჩამოჰყვება სამძიმრის თქმას მის წინა მომტირალივით. ასე ამ გვარად, გძელდება ტირილი თითქმის სამხრობამდის და ხშირად მეტხანსაც.

თუმცა, როგორც ზევითა ვსთქვით, კარის კაცებიც დგანან რომ მეტი არავინ შეუშვან ან შინ ან მოაჯირზედ, რომ მომტირლებს უბრალო ხალხმა გზა არ შეუკრას, არ შეხუთოს, მაგრამ შეუძლებელია ხალხის შეკავება, ტირილის მაყურებელნი მაინც ბლომად არიან; უყურებენ თვითოეულის ტირილს, ისმენენ გამოთქმულს აზრს და სიტყვებს, ტირილს. დამწუნებელ-მომწონებელიც ბლომადა ჰყავს. მრავალი მომტირალი სახელ განთქმულია და წინდაწინვე იციან, რომ ის კარგად იტირებს, ზოგზედ ამბობენ:

„მშვენიერი ტირილი იცის, მაგრამ წოუხდინეს, ბატონო ტირილი“. ზოგი, მართლა, ძლიერ მჭერ-მეტყველია ტირილში და განგაცვიფრებს მისი მჭევრმეტყველება. ზოგი მოურიდებლად და გაბედულის სიტყვებით ამხელს მიცვალებულს, თუ იგი ამის ღირსია...

რაც შეეხება დატოვებულს ანდერძს, საქმის სინამდვილე ვერ გავიგეთ, გამორკვეულს არავინ არას ამბობდა. გავიგეთ მხოლოდ ის, რომ ანდერძის ქაღალდი აბარი ერთს ადამიანს და სანამ ას თუმანს არ მომცემთ, მანამ არც გაჩვენებთ და არც შინაარს გეტყვითო“.

ამ მოძღვრის შეუფერებელმა მოთხოვნილობამ და საქციელმა დიდი უკმაყოფილობა გამოიწვია საზოგადოებაში და ზოგნი თავის ქნევით ამბობდნენ:

„ღმერთო, უარესისაგან დაგვიხსენო“.

სოსიკო მერკვილაძე.

(შემდეგი იქნება)

კლასი. მასთანვე, ვისაც ნებას მისცემს ნიჭი, სურვილი და შეძლება, მას შეეძლება გიმნაზიაში გადვიდეს და სწავლა განაგრძოს... დამერწმუნეთ, რომ ამნაირი ტიპის სკოლა ძალიან წინ წაგვწევს და დიდ დახმარებას გაუწევს ჩვენს ოჯახს... ვაჟების სასწავლებლები, რაც გვაქვს, ჯერ იგი ვიგმართოთ.

პეტრე მაჭავარიანი.

ნარკვევი

„ნორ-დარი“ დაგვპირდა, შე გვარჩევ, ვინ არის ქართველი, ან ვინ არის სომეხიო და მიდგა წერას. მაგრამ იმის საბუთად, რომ ქართველი გრიგორიანები ვითომც სომხები იყვნენ, აი რა მოიტანა ამ ენკენისთვის 135 ნომერში:

> „ჩხარელ და ონელ, ქართულად მოლაპარაკე“ სომხებს რომ უთხრათ ქართველები ხართო, ი ინი გეტყვიან: სომხები ვართ, სომხური არ ვიცით, არ ვლაპარაკობთო. ამ პუბლიცისტებმა უნდა დაინახონ, რომ ქართული სახელი და ქართულად ლაპარაკი ჯერ კიდევ არ მოასწავებს ქართლ-კახეთსა, ან იმერეთში მცხოვრები სომეხი ქართველი იყოსო“.

მაგრამ ასეთ საბუთს ბ-ნი სპანდარიანცი მარტო ჩვენდა მიმართ ხმარობს, თორემ თითონაც კარგად ესმის უსაფუძვლობა მისი, როცა განაგრძობს იმავე ნომერში:

> „ალექსანდრეპოლელ სომხის ყმაწვილებს რომ ჰკითხოთ, ხარ თუ არა სომეხიო, სომხურად გიპასუხებენ: „არა, არა, სომეხი არ ვარ, მე ფრანგი ვარო“.

ეს გარემოება ნუ-თუ არ ნიშნავს, რომ აღმოსავლეთში კათოლიკობის მფარველი ძველადგანვე საფრანგეთი იყო და მისი, ან სხვა კათოლიკე ქვეყნების მამები მხოლოდ მისი სახელით ჰქადაგებდენ რომის სამღვდელო საყდრის სარწმუნოებას? ამ ამბავმა დაჰბადა ჩვენში სიტყვა „ფრანგი“ კათოლიკობის აღსანიშნავად. აგრეთვე თათრის მოლების ქადაგებამ მოგვცა სიტყვა „თათრობა“ მაჰმადიანობის გამოსათქმელად და სომხის ტერტერების პროპაგანდამაც გვიანდერძა სიტყვა „სომხობა“ გრიგორიანობის მაგიერ. სომხის სჯულის მიმდებ ქართველს რა უნდა ეწოდებინა თავის თავისთვის, თუ არ სომეხი? ამის შემდეგ, რასაკვირველია, რომ როგორც ალექსანდროპოლელი კათოლიკე სომეხი სომხურად იძლევა პასუხს ფრანგი ვარო, ისე ჩხარელი, ან ონელი გრიგორიანი ქართველი ქართულად იძლეოდეს პასუხს, სომეხი ვარო. მაგრამ შეიძლება ითქვას, ან ერთი ფრანგი იყოს, ან მეორე სომეხი? ერთი როგორ ილაპარაკებს ფრანგულს, ან მეორე სომხურს, როცა როგორც ერთისდედა-საერთო ენა სომხურია, ისე მეორის ქართულია? ჩვენც კარგად ვიცით, რომ ქართული ლაპარაკი ქართველობას არ მოასწავებს, მაგრამ ისიც კარგად იცით და ჩვენთან ერთად შეგნებულმა ქართველმა გრიგორიანებმაც კარგად უწყიან, რომ სომხის სჯულის მიღება სომხობის მიღებას არ ჰნიშნავს.

„ივერიის“ ფოსტა:

ხარაგაული. ვანოს. თქვენი წერილი არ იბეჭდება.

იაგო ტე—ლს. თქვენი ლექსი „მძინარე დედა“ არ დაიბეჭდება.

მღვ. სტ. ბ—ლს. თქვენი წერილი „მომავალ მცხეთობისათვის“ არ დაიბეჭდება.

პეტერბურგს. ო. მ. მი—შვილს „პატარა შენიშვნა სტიპენდიების დანიშვნის შესახებ“ არ დაიბეჭდება.

დიმი. გ—ძეს. თქვენი წერილი არ იბეჭდება.

შ. მ. მ. ტ—სის. გუჯარი მივიღეთ. გამოგვიგზავნეთ დანარჩენიც.

ბრ. ძი—შურს. თქვენი პატარ-პატარა ლექსი არ დაიბეჭდება.

ქუთაისს. ბაგრატიონს. თქვენი ნათარგმნი ლექსი არ დაიბეჭდება.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

27 სეკდემბერი

სოფია. ორშაბათს გრაფ იგნატიევის პატივსაცემლად სასახლეში სადილი იყო. სადღეგრძელოები არ წარმოთქმულა. სამშაბათს სადილი გამართა ქალაქმა. დაესწრნენ მინისტრები, რუსის სადიპლომატო სააგენტო, მთავრის წარმომადგენელნი და წარჩინებულნი მოქალაქენი. ქალაქის თავმა წარმოსთქვა სადღეგრძელო ხელმწიფე იმპერატორისა და ბოლგარიის მთავრისა. გრაფმა მადლობა გადაიხადა დახვედრისათვის და ბოლგარიას უსურვა პოლიტიკური და ეკონომიური აღყვავება. პასუხად მაკედონიის კომიტეტის პრეზიდენტის სადღეგრძელოსი, იმედია, რუსეთი, რომელიც არ ივიწყებს მართლმადიდებელთ, უშველის მაკედონიას, როდესაც საჭიროება მოითხოვსო. გრაფმა უპასუხა, გირჩევთ კეთილგონიერებასაო და დალია სადღეგრძელო სატახტო ქალაქის აღყვავებისათვის. იმავე დღეს იყო დიდი მეჯლისი ქ-ნ ბახმეტიევის, „ევდოკიას“ საზოგადოების თავმჯდომარის თაოსნობით. დაესწრო მთავარი. გაიმართა ლატარია. ნივთთა შორის ყურადღებას იპყრობდა მშვენიერი „ვაზები“, ბოძებული საზოგადოებისთვის ხელმწიფე იმპერატრიცისაგან.

სოფია. გრაფმა იგნატიევმა წასვლისას სთქვა: ბოლგარიას გულწრფელად ვუსურვებ სიკეთეს. სამარადისო სწრაფვას იგი მიაღწევს, გარნა საჭიროა გონიერი გარჯა და მოთმინება“. რუშჩუკამდის გრაფი გააცილეს საეროო კრების თავმჯდომარემ, საშინაო საქმეთა მინისტრმა, ქალაქის თავმა და საზოგადოების წარმომადგენელთ.

სოფია. ოთხი დღეა სატახტო ქალაქი მორთულია რუსისა და ბოლგარიის ბაირაღებით, ხალიჩებით და ყვავილებით პატივსაცემლად გრაფის იგნატიევისა, რომელიც სცხოვრობდა რუსის საელჩოს სააგენტოს სახლში. პირველს საღამოს მოსწავლე ახალგაზრდობა და ხალხი დიდის ამბით მიეგება გრაფს. მაკედონელთა სიტყვა გრაფმა მოისმინა სააგენტოს აივნიდან. პასუხად სთქვა, ჩემი გულითადი სურვილი, რომ ბოლგარია მენახა თავისუფალი, აღსრულდა რუსეთის წყალობით. ბოლგარიის მომავალი იდეალი მიღწეულ იქნება რუსეთთან მტკიცე დაახლოვებით. კვირას გრაფს წარუდგნენ ყველა საზოგადოებათა და დაწესებულებათა დეპუტაციები. ორშაბათს გრაფმა ინახულა სლავიანთა საზოგადოება, საცა, მისაგებებელ სიტყვის პასუხად, სთქვა, რომ სიტყვა პანსლავიზმი მოგონილია უცხოელთაგანო. რუსეთს ყოველთვის გულწრფელად სურს სლავიანებისთვის დამოუკიდებელი განვითარება და აღყვავება. ბოლგარია უნდა იყოს დამოკიდებული და ძლიერი როგორც სახელმწიფო, ისე ეკონომიურის მხრივ.

ხარკოვი. დღეს, დიდის მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს ძის დასწრებით ქალაქ სუმს აკურთხეს კადეტთა კორპუსი. კურთხევის წესი შეასრულა ყოვლად უსამღვდელოესმა ფლაბიანემ. 28 სეკდემბერს დიდი მთავარი მიბრძანდება ხარკოვს.

პოლტავა. დაპატიმრებულნი ჯარის-კაცნი ბერესტოვი და ლიხუნოვი, რომელთაც დაჰბრალდათ სურვილი ესაულ ფილიმონოვის მოკვლისა კრემენჩუგს, გამოტყდნენ და აღიარეს თვისი დანაშაული. ფილიმონოვისა და მისის ცოლის—მოკვლა გაძარცვის აზრით დიდი ხანია განეზრახათ. ცოლი შემთხვევით გადარჩა საფრთხეს. დამნაშავენი სამხედრო სამართალში არიან მიცემულნი. ფილიმონოვს ტრეპანაცია გაუკეთეს თავის ქალასი. მისი მდგომარეობა ჯერ გამოურკვეველია.

კოვნო. დაარსებულ იქმნა პირველი ცენტრალი ბიბლიოთეკა საერო განათლების სამინისტროს უწყების პირველ-დასაწყის სკოლათა მასწავლებელ ქალთა და ვაჟთათვის. განზრახულია ამისთანა ბიბლიოთეკების დაარსება სხვა სამაზრო ქალაქებშიაც.

ბრიუსელი. ლუი ბოტამ „Petit Bleu“-ს კორესპონდენტთან ლაპარაკის დროს სთქვა: „გერმანელს მეგობრებს ვაუწყეთ, რომ ვამჯობინებთ სულ უარი ვსთქვათ გერმანიაში წამოსვლაზედ, ვიდრე ის ვიკისროთ, რომ ჩვენს მანდ წამოსვლას პოლიტიკური ხასიათი მიეცესო.

ნიუ-იორკი. სკრანტონს, პენსილვანიაში, ხელთ იგდეს დიდძალი „პატრონები“, რომელსაც უგზავნიდნენ ზემო ლაკავანნის იტალიელ მუშებს. უფროსი შეიპყრეს.

კონსტანტინეპოლი. ირადე საბაჟო სესხის კონვერსიის გამო არ გამოცხადებულა, თუმცა ყოველს წუთს ელიან სასიამოვნო ირადეს გამოქვეყნებას.

ჰელსინგფორსი. ულეაბორგის გუბერნიის დამშეულთა დასახმარებლად სენატმა გადასწყვიტა უქვეშევრდომილესად ითხოვოს ნებართვა მდინარის ვარგატერის გაწმენდისათვის და 1,800,000 მარკა.

ჰელსინგფორსი. კაიანიდგან იუწყებიან, ულეაბორგის გუბერნიაში შიმშილიაო. ახალ მოსავლის პური ისეთი ცხვება, რომ ხალხი მუცელში ავად ხდება და იხოცებაო.

ჰელსინგფორსი. სენატმა დაადგინა აკურთხონ 1-ლ ნოემბერს კარის-ჰელსინგფორსის რკინის გზა და 1903 წლის განმავლობაში ულეაბორგ-ტორნეოს რკინის გზის გასაყვანად გადასდოს 1,300,000 და საალმი-კაიანისა 990,000 მარკა.

მადრიდი. კორტესები მოწვეულია ოკდომბრის 7 სათვის.

გიბრალტარი. ისპანიის ხელისუფალთაგან ისპანიის მიჯნის ახლოს მყოფ სოციალისტ კლუბების გაუქმებისა გამო გუშინ უწესოება მოხდა, სოციალისტები ესროდნენ პოლიციას, რომელიც მითვე უპასუხებდა. ხუთი მეამბოხე მოიკლა, ბევრი დაიჭრა. სოციალისტები მიესივნენ ქალაქის რატუშას და სხვა სახლებს, გარნა ჯარმა მალე განფანტა. შიშობენ, ახალი უწესოება არ მოხდეს.

შტუტგარდი. გეხინგენის არე-მარეში გუშინ იყო მიწის ძვრა, რომელმაც სამს წუთს გასტანა.

ტიუბინგენი. გუშინ ქალაქის სხვა-და-სხვა ნაწილში იყო მიწის ძრიელი ძვრა! ამავე დროს ქალაქის ქვენა ნაწილს იყო ნიადაგის საკმაოდ ძრიელი რყევა. ქალაქის ზემო ნაწილს რყევა უფრო ნაკლები იყო.

28 სეკდემბერი.

პეტერბურგი. „Правит. Вѣст.“-ში დაბეჭდილია: ხელმწიფე იმპერატორი სევასტოპოლში ხომალდ-გემების აღლუმის გამო უცხადებს: უმაღლეს მადლობას ვიცე-ადმირალს ტირტოვს და მონარქულს სათნო-ყოფას პრაქტიკულ ესკადრის უფროსს ვიცე-ადმირალს გილდებრანდტს, კონტრ-ადმირალს ზელენოის, ბეზობრაზოვს და შავის-ზღვის ფლოტის შტაბის უფროსს ბალიუსს, კაპიტნებს 1-ლ რანგისას ჯავშნიან ხომალდების უფროსებს: „როსტისლავისას“ ფლიგელ-ადიუტანტისა დიდს მთავარს ალექსანდრე მიხეილის ძეს, „ტრი სვიატიტელისას“—დანილევსკის და „ეკატერინე ვტორაიას“—უშაკოვს და ყველა სხვა უფროსებს—შტაბ და ობერ-აფიცრებს; დაბალ მოხელეთ—„მეფურს მადლობას“ და ფულით საჩუქარი: იმ გემების დაბალ მოხელეთ, რომელნიც ინახულა ხელიწიფემ, ათ-ათი მანეთი კონდუქტორებს, ხუთ-ხუთი—ბოცმანებს, სამ-სამი უნტერ-აფიცრებს და თითო—ჯარის-კაცებს; სხვა გემებისანებს—მანეთნახევარი უნტერ-აფიცრებს და ათ-ათი შაური—ჯარის-კაცებს.

კრეისერის „ოჩაკოვის“ წყალში ჩაშვების გამო ხელმწიფე იმპერატორი უცხადებს განსაკუთრებულს მონარქულს მადლობას შავის-ზღვის ფლოტის კომანდირს ვიცე-ადმირალს ტირტოვს და უმაღლესს სათნო-ყოფას სხვა დანარჩენ აფიცრებს.

ტომსკი. საბჭომ დაუთმო მთავრობას ნაჰერი ქალაქის მამულისა რეალურ სასწავლებლის შენობის ასაგებად.

გიბრალტარი. ისპანიის სამზღვარზედ მშვიდობა დამყარდა. თუმცა ჯერ კიდევ დიდი მღელვარებაა. ჯარები კიდევ მოდის აქედიქიდან. ამ მხარეში სამხედრო წესებია გამოცხადებული.

ბელგრადი. სერბიის ოფიციალურ წყაროებიდამ გვაცნობებენ, რომ კუმანოვს, ძველს სერბიაში, სერბთა და არნაუტთა შორის შეტაკება მოხდა; ორივეს მხრივ აღმოჩნდნენ მკვდრები და დაჭრილები. ამბობენ სერბილების მხრივ 8 კაცია მოკლული. ნიშ.დამ იუწყებიან, რომ ბესოლიციის და იაბლოვდანის შუა ჩასაფრებლობა ალბანეთმა სერბიელ დარაჯს ესროლეს თოფი, ერთი სლდათი მოკლეს და სამი მძიმედ დასჭრეს.

ბირლინი. ბრიუსელიდამ კერძო ცნობები სოდის, რომ ბურების გენერლები გაკვირვებულები არიან „Norddeutsch Zeitung“-ის ცნობით შესახებ აუდენციის უარყოფისა იმპერატორისაგან. შეხედულობის განსხვავება აიხსნება ამ გვარად: იმპერატორმა უბრძანა აცნობონ პირობა მიღებისა, თუ გენერლები ისურვებენ აუდენციის მიღებას, გენერლებსკი არა პასუხი მიმართონ ელჩს ამ გაარითხოვნით, ვიდრე თვით იმპერატორი არ განაცხადებს მათის მიღების სურვილს. გენერლები ჯერ დათანხმდნენ ნეხვის პირობას და რა გავლენამ შესცვალა მათი შეხედულობა, არვინ იცის.

პეტერბურგი. „Торг. Пром. Газ.“ იუწყება სერბიის ოფიციალურ კაზეთიდამ, რომ სერბიისა და ოსმალეთის შუა სავაჭრო ხელშეკრულობის პროექტი, რომლის ვადაც 6-ს აგვისტოს თავდებოდა, განიგრძობა შემდეგისათვის. „Новое Время“ იუწყება, რომ დიდ ოკეანეს გამგზავრებულ ხომალდებზე იმოქმედებენ ახალი უმავთულო ტელეგრაფის აპარატები, პოპოვისაგან მოგიონილი. შორს აღმოსავლეთს მიმოსვლელი ხომალდებს შეეძლებათ ერთი-ერთმანეთს ელაპარაკონ.

„Прав. Вѣст.“-ში დაბეჭდილია, რომ პალესტინა ხოლერის მხრივ საიმედოდ აღარ არის ცნობილიო.

კონსტანტინეპოლი. სამხედრო მინისტრს ღამე ჰქონდა თათბირი, რომელსაც დაესწრო ედხემ-ფაშა. ღამევე წავიდა მატარებელი სერესს საგანგებო მინდობილობით. მატარებელში იყო დივიზიის გენერალი ტალიტი და ბრიგადის გენერალი უაქირ-ფაშა.—ინგლისისა და საფრანგეთის საელჩოებმა გადასცეს პორტას 27 სესდემბერს ნოტები უცხოელთა უფლების შესახებ თევზის ჭერის საქმეზა და თან აღნიშნულ იქმნა, რომ პორტმა თავის უკანასკნელ ნოტში აღვიარა სიმართლე საჩივართა, რომელიც კაპიტულაციასა და ნოტებზედ იყო დამყარებული, აგრეთვე გამოცხადებულ იქმნა პროტესტი იმის შესახებ, რომ პორტა თითქო უარ-ჰყოფს კონსულების უფლებას დაესწრნენ ხოლმე სამოსამართლო საქმეთა გარჩევაზედ და აგრეთვე კერძო უფლებას თევზის ჭერისას. დანარჩენნი წარმომადგენელნიცა დიპლომატიისა, რომელთაც ინტერესები აქვთ ამ საქმეში, აგრეთვე გადასცემენ ნოტებს პორტას.

იოკოგამა. რამდენიმე კაცი კიდევ გახდა ავად შავის ჭირით.

ბირმინგამი. ლიბერალ-უნიონისტების დასის უკმაყოფილების გამო საერო განათლების კანონ-პროექტის მიმართ ჩემბერლენმა სთქვა პასუხად, რომ მთავრობა მიიღებს წინადადებას პროექტის შეცვლაზე, მხოლოდ თვით კანონ-პროექტს-კი უკან ვერ წაიღებს. მინისტრმა სთხოვა პარტიერს ერთხმად მიეღოთ და უკეთუ კანონ-პროექტს არ მიიღებენ, კაბინეტი სამსახურს თავს დაანებებს.

კოპენგაგენ. საბერძნეთის ხელმწიფე აქედამ წაბრძანდა.

ბერლინი. 27 სეკდემბერს გაიხსნა გერმანიის საკოლონიო კონგრესი. შემდგომ სიტყვისა გერცოგ იოან-ალბრეხტ მეკლენბურგისა, სტატს-სეკრეტარმა რისტგოფენმა იმპერატორისაგან და რეიხ კანცლერისაგან სალამი მიუძღვნა ყველას ვინც კონგრესზე მივიდნენ. ორატორმა სთქვა, რომ ევროპის გარეთ უნდა მივაქციოთ ყურადღება და მხოლოდ იქ გადასწყდება ვის უნდა დარჩეს საქვეყნო ეკონომიური ბატონობა, ჩვენი საკოლონიო პოლიტიკა ოკეანს იქით ამტკიცებს იმას, რომ ჩვენც მონაწილენი ვართ მშვიდობიან მეტოქეობაში.

პეტერბურგის ბირჟა, 27 სეკდემბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,90
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	37,37¹/₂
ლონდონში ჩეკები	94,65
ბერლინში ,, ...	—
პარიჟში ,, ...	37,62¹/₂
ბირჟის დისკონტი	4¹/₂—6¹/₂%
4% სახელმწიფო რენტა	97 გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99 მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა .	—
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	466¹/₂ წვ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	355¹/₄ წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. .	290¹/₄ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4¹/₂% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . .	89¹/₄ მყიდ. (?)
4¹/₂% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	85 წვ. გაყ.
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	89¹/₂ გაყ.
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	9,100 წვ. გაყ.
აქციები ,, „ „ „	450 წვ. გაყ.
,,კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	351 წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ.	175 წვ. გაყ.
ნავთის სამრეწვ. საზოგად. .	—

ყოველ-დღიური საჭირო ცნობანი

რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბაქო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით)	3 ს. 43 წ. დღ.	11 ს. 49 წ. დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „ „	8 ს. 37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. საღ.
ბათუმი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე)	10 ს. 2 წ. დილ.	7 ს. 43 წ. დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. საღ.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. საღ.	9 ს. 27 წ. დილ.
ყარსი და ალექსან.		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე) . . .	7 ს. 18 წ. დილ.	9 ს. 28 წ. საღ.
სამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან).	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბორჯომი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე).	9 ს. 57 წ. დილ.	6 ს. 22 წ. დილ
სამგზავრო „ „	6 ს. 53 წ. საღ.	2 ს. 28 წ. დღ.

განცხადება

თფილისის საბაღოსნო სასწავლებელში

მისაღები გამოცდანი დაიწყება 10-ს და დასრულდება 12 ოკტომბერს. გამოცდის დასაწყისი დილის 9 სათიდან.

(1—428—1).

ქირავდება

იაფად 4 ოთახი ყოველგვარ მოწყობილობით თითქმის შუაგულ ქალაქში, ეგზარხოსის მოედანზედ, სახლი თავ. შერვაშიძისა, № 14.

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

(წ.)

„GRAND PRIX“

PARIS 1900.

Т-во Высшей парфюмеріи

А. Ралле и К°

Духи

„Въ Мечтахъ“

ისყიდება

კაკლის გასაწევი, სასადილო ორი **სტოლი**, საუკეთესო ხმელის მასალიდან მკვიდრათ გაკეთებული. **ფასები დაკლებულია.**

ადრესი: ლაბორატორიის ვიწრო ქუჩა, სამხატვრო სასწავლებლის გვერდზედ, იკითხეთ სადურგლო ქარხანა. (1—427—1)

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи, И. Алхазова . . .	„	30
Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи IV т. Н. Марра	3	„
О грузинскомъ и русскомъ алфавитахъ съ педагогической точки зрѣнія Я. Гогебашвили	„	20
Неестественность „естественнаго“ метода въ дѣлѣ обученія языкамъ Л. Боцвадзе	„	10
Бальваръ и Іодасафъ, А. Хаханова	„	60
Очерки по исторіи грузинской словесности, А. Хаханова в. Ш.	3	„
Замѣтки о городскомъ самоуправленіи на кавказѣ Г. Туманова . . . «	„	60
Георгій XII, послѣдній царь Грузіи, Н. Дубровина .	1	»
მეცნიერებისათვის წამებულნი, სურათებით, თარგმანი ა. ნიკიტინისა .	1	„
ველურობა და განათლება, თარგ. ს. ჯუღელისა	„	30
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა თარგმანი ა. ნატ. გიგაურისა	„	50
ბრძნული სიტყვები . . .	„	10
წმიდა აბო ტფილელი :	„	30
ლაზარილიო ტორმესელი, ესპანიური მოთხრობა, თარგმ. ბ. უმიკაშვილისა	„	10
ტფილისი, მ. ჯანაშვილისა . .	„	50
თამარიანი, პოემა ს. გუგუნავასი .	„	50
ნამუენი ვაზით ვენახის მოშენებას ქვარიანისა	„	5
სურამის ციხე, დ. ჭონქაძისა . .	„	15
კონსტანტინე ბატონიშვილი, თ. ხუსკივაძისა	„	5
ზღაპრები სურათებით . . .	1	„
პაწია და ბუნკლია, სურათებით თარგმანი დ. ავალიანისა . . .	„	30
„შოთა რუსთაველი“ მ. ჯანაშვილისა .	„	40
Царица Тамара, მისივე . .	„	50

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28 Сентября 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. ხარაჯიშვილი.